

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ბოლო დროს გატარებული სამართლებრივ-ეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმების შედეგად მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის წარმოების კომპეტენცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სამსახურიდან გადაეცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. აღნიშნულმა შესაძლებელი გახადა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრისა და საჯარო რეესტრის ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოქცევა, ამ ორი რეესტრის მონაცემთა ბაზების ურთიერთმისაწვდომობა. რეფორმისას, პროგრამულ საკითხებზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, რომ შესაძლებელია შეიქმნას სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა და საჯარო რეესტრების ერთიანი ელექტრონული ბაზა, რომელის შედეგადაც სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრი ავტომატურად დაუკავშირდება საჯარო სამართლებრივი შეზღუდვებისა და საგადასახადო გირავნობა-იპოთეკის ელექტრონულ ბაზებს, ეს კი შესაძლებლობას მოგვცემს სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში მოხდეს საჯარო სამართლებრივი შეზღუდვებისა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის შესახებ ინფორმაციის გენერირება. ვინაიდან ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან გააერთიანებს დღემდე არსებული პრაქტიკით რამდენიმე დოკუმენტში თავმოყრილ ინფორმაციას, მნიშვნელოვნად გამარტივდება დაინტერესებულ პირთა მიერ ინფორმაციის მოპოვების პროცედურა, მოხდება მათი დროისა და ფინანსური ხარჯების დაზოგვა, უზრუნველყოფილი იქნება რეგისტრირებულ მონაცემთა მაქსიმალური ხელმისაწვდომობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია საქართველოში შესაბამისი ორგანოების მიერ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა და საჯარო რეესტრებიდან ინფორმაციის გაცემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების დაზუსტება და პროცედურების კიდევ უფრო გამარტივება, სხვადასხვა დოკუმენტებში ასახული ინფორმაციის ერთიან დოკუმენტში თავმოყრა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების შემოთავაზებული რევიზია გამოიწვევს სამეწარმეო ურთიერთობებში მესამე პირთათვის დამატებითი გარანტიების შექმნას, ინფორმაციის მოძიების პროცესში გაწეული ხარჯებისა და დროის შემცირებას, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს საბაზრო ურთიერთობების ეფექტურობის, სანდოობისა და გამჭვირვალობის კიდევ უფრო გაზრდას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონის მოქმედი რედაქციით, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან არ შეიცავს ინფორმაციას იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვებისა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის არსებობა/არარსებობის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია გაცემა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ცალკე დოკუმენტების სახით, შესაბამისი საფასურის გადახდისას. წინამდებარე ცვლილებები კი უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის ერთიან დოკუმენტში თავმოყრას და ერთიანი პროცედურით გაცემას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება მოახდენს გარკვეულ გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე (შემცირდება).

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე (შემცირდება).

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში დაიზოგება ადმინისტრაციული ორგანოების მატერიალური რესურსები.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის შესაბამის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა.